ქ. თბილისი

მარშალ გელოვანის გამზირი №35-ში არსებული სს „ვენჯორჯიას“ ტერიტორიაზე განთავსებული ავტოგასამართი სადგურის ტექნოლოგიურ დანადგარებსა და შპს „ვ-ჯეო რესტორნების“ საპროექტო „ვენდისის“ შენობის სწრაფი კვების ობიექტს შორის უსაფრთხოების მანძილების

ექსპერტიზა

თბილისი 2020 წ.

მარშალ გელოვანის გამზირი №35-ში არსებული სს „ვენჯორჯიას“ ტერიტორიაზე განთავსებული ავტოგასამართი სადგურის ტექნოლოგიურ დანადგარებსა და შპს „ვ-ჯეო რესტორნების“ საპროექტო „ვენდისის“ შენობის სწრაფი კვების ობიექტს შორის უსაფრთხოების მანძილების

ექსპერტიზა

თანახმად შპს „ვ-ჯეო რესტორნებთან“ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად (25 ნოემბერი 2020 წ.) დამევალა ჩამეტარებინა ზემოხსენებულ ობიექტებს შორის სახანძრო უსაფრთხოების მანძილების გადამოწმება.

ობიექტების განხილვისას გამოყენებულ იქნა საქართველოში მოქმედი 2003 წლის ივლისის NFPA 30 A დამტიცებული ამერიკის ეროვნულ სტანდარტად. კოდექსი საწვავის გამანაწილებელი მოწყობილობებისა და სარემონტო ავტოფარეხებისათვის.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე განთავსებულია შემდეგი შენობა ნაგებობები:

2. ადმინისტრაციული შენობა და მგზავრთა მოსაცდელი;
3. ავტოგასამართი მოედნის ფარდული;
4. საწვავის მიწისქვეშა რეზერვუარები;
5. ფასის მაჩვენებელი სტენდი;
6. საკომპრესორო შენობა;
7. სატრანსორმატორო და საგენერატორო ბაქანი;
8. საპროექტო შენობა;

ექსპერტიზისას ძირითადად გამოყენებულია NFPA 30 A -დან თავი 6 - სითხის გამანაწილებელი სისტემები.

ეს თავი მიესადაგება იმ სისტემებსა და კოპონენტებს რომლებიც საწვავს გადაანაწილებს ტრანსპორტის ავზებში.

პ. 6.2.1 საწვავის გამანაწილებელი მოწყობილობა ავტომანქანების ამვსები სვეტი უნდა მდებარეობდეს შემდეგნაირად:
1. არანაკლებ 10 ფუტის (3 მ-ის) მანძილზე საკუთრების ხაზიდან (ამ შემთხვევაში 4,4 მ-ია);
2. არა ნაკლებ 10 ფუტის (3 მ-ის) მანძილზე შენობებიდან (ამ შემთხვევაში 7,4 მ-ია);
4. ჩამოსასხმელი აპარატის რეზინქსოვილიანი მოქნილი მილი როდესაც სრულიად დაიჭიმება, არ უნდა აღწევდეს შენობის ღიობებსა და შესასვლელებს 5 ფუტით (1,5 მ) ამ შემთხვევაში საპროექტო შენობა და ამვსები სვეტი მოცილებულია

ერთმანეთისგან 7,4 მ-ით. მოქნილი მილის სიგრძე შეადგენს 4,3 მ-ს (7,4მ-4,3მ-1,5მ=1,6მ). 1,6 მ სრულიად აკაყოფილებს კოდექსის მოთხოვნას.

6.3.4 გამანაწილებელი მოწყობილობა დგას ბეტონზე და დაცულია სატრანსპორტო საშუალების დაჯახებისაგან.

6.5 საწვავის გამანაწილებელი რეზინქსოვილიანი მილის მოთხოვნები.

6.5.1 აღნიშნული მოქნილი მილი გამოიყენება საწვავის ჩასხმისას საავტომობილო საწვავზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებებისათვის მისი სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 18 ფუტს (5,5 მ). ამ შემთხვაში მოქნილი მილი არის 4,3 მ სიგრძის.

ყველა ამვსები სვეტი ქარხნული წესითაა დამზადებული და დამონტაჟებულია ქარხანა დამამზადებლის ინსტრუქციის შესაბამისად.

განვიხილოთ საპროექტო შენობის მდებარეობა და უსაფრთხოების მანძილები ავტომობილების საწვავის შესანახი მიწისქვეშა რეზერვუარების მიმართ.

NFPA 30 თავი 23 თხევადი ნივთიერებების შენახვა რეზერვუარები.

პ. 23.3.2 დამონტაჟება. ობიექტზე ყველა მიწისქვეშა რეზერვუარი დამონტაჟებულია მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად.

23.4 მიწისქვეშა შესანახი რეზერვუარების მდებარეობა.

23.4.3 მანძილი იმ რეზერვუარის ნებისმიერი ნაწილიდან სადაც ინახება II ან III კლასის სითხეები ნებისმიერი ცოკოლის, კარიერის უახლოეს კედლებამდე ან საკუთრების საზღვრამდე რომელიც აშენებულია ან შესაძლოა აშენდეს, არ უნდა იყოს 1 ფუტზე (0,3 მ) ნაკლები. ამ შემთხვევაში საპროექტო შენობა მიწისქვეშა საწვავის რეზერვუარების სარკოფაგიდან მოცილებულია 21,3 მ-ით.

საპროექტო ობიექტის ყველა დანადგარი დამიწებულია დამამზადებლის ინსტრუქციის თანახმად.

საპროექტო ობიექტზე ვრცელდება ავტოგასამართი სადგურის მეხამრიდის მოქმედების რადიუსი.


საექსპერტო დასკვნა

მარშალ გელოვანის გამზირი №35-ში არსებული სს „ვენჯორჯიას“ ტერიტორიაზე განთავსებული ავტოგასამართი სადგურის ტექნოლოგიურ დანადგარებსა და შპს „ვ-ჯეო რესტორნების“ საპროექტო „ვენდისის“ შენობის სწრაფი კვების ობიექტს შორის უსაფრთხოების მანძილები შესრულებულია საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვით და ვაძლევ დადებით შეფსებას.

დამოუკიდებელი ექსპერტი: /დ. ჩახტაური/

ესკიზური გენგეგმა საპროექტო არეალით

ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი
№35 01.10.10.025.050



საქართველოს მთავრობის

დადგენილება №52

2014 წლის 14 იანვარი

ქ. თბილისი

საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 59-ე მუხლის, 103-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, სამშენებლო სფეროს ტექნიკური რეგულირების მიზნით, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების მიღებამდე, აღიარებულ და საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ დაშვებულ იქნეს 1992 წლამდე მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები და მათი ის ნაწილები, რომელთა ალტერნატივა არ არსებობს საქართველოში მიღებული ტექნიკური რეგლამენტების სახით და რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლის მონაწილეც არის საქართველო.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №442

2016 წლის 16 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/01/2014, 300160070.10.003.017671) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი 1^1:

„მუხლი 1^1. სახელმწიფო შესყიდვის ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის წარმოებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს:

ა) ამ დადგენილებით საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული სამშენებლო ნორმები, წესები, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები და მათი ნაწილები; ან

ბ) „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №50 დადგენილებით საქართველოში სამოქმედოდ დაშვებული ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 16 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

№50 2013 წლის 7 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 103-ე მუხლის მე-4, მე-18, მე-20 და 23-ე ნაწილების შესაბამისად:

მუხლი 1. საქართველოში სამოქმედოდ იქნას დაშვებული დადგენილების დანართით განსაზღვრულ ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები.

მუხლი 2. საქართველოში აღიარებულ იქნას ამ დადგენილების დანართით განსაზღვრულ ქვეყნებში უფლებამოსილი/აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

მუხლი 3. ამ დადგენილების დანართით განსაზღვრული ქვეყნებიდან იმპორტირებული და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად რეგულირებულ სფეროს მიკუთვნებული ის პროდუქტი, რომელსაც გააჩნია ამავე ქვეყნების კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები და ნიშანდება, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსთვის აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, საქართველოს ბაზარზე განთავსდეს შეზღუდვებისა და დამატებითი (განმეორებითი) შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე.

მუხლი 4. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის N 45 დადგენილება.

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს 2013 წლის პირველი მარტიდან.


პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**

საქართველოს მთავრობის
2013 წლის .7..მარტის
N50 დადგენილების
დანართი

ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ნუსხა, რომელთა ტექნიკური რეგლამენტები საქართველოში სამოქმედოდ არის დაშვებული

	ქვეყანა	კოდი
1	ავსტრალია	036
2	ავსტრიის რესპუბლიკა	040
3	ახალი ზელანდია	554
4	ამერიკის შეერთებული შტატები	840
5	ბელგიის სამეფო	056
6	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო	826
7	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა	276
8	დანიის სამეფო	208
9	ესპანეთის სამეფო	724
10	ესტონეთის რესპუბლიკა	233
11	ისლანდიის რესპუბლიკა	352
12	ირლანდია	372
13	იტალიის რესპუბლიკა	380

14	იაპონია	392
15	კვიპროსის რესპუბლიკა	196
16	კანადა	124
17	კორეის რესპუბლიკა	410
18	ლატვიის რესპუბლიკა	428
19	ლიტვის რესპუბლიკა	440
20	ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო	442
21	მალტის რესპუბლიკა	470
22	მექსიკის შეერთებული შტატები	484
23	ნიდერლანდის სამეფო	528
24	ნორვეგიის სამეფო	578
25	პოლონეთის რესპუბლიკა	616
26	პორტუგალიის რესპუბლიკა	620
27	საბერძნეთის რესპუბლიკა	300
28	საფრანგეთის რესპუბლიკა	250
29	სლოვაკეთის რესპუბლიკა	703
30	სლოვენიის რესპუბლიკა	705
31	უნგრეთის რესპუბლიკა	348
32	ჩეხეთის რესპუბლიკა	203
33	ფინეთის რესპუბლიკა	246
34	შვედეთის სამეფო	752
35	შვეიცარიის კონფედერაცია	756
36	ისრაელის სახელმწიფო	376
37	ჩილე	152


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
დავით
DAVIT
გვარი / LAST NAME
ჩახტაური
CHAKHTAURI
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მმ / M
01011023976
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
05.02.1951
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
23.01.2027
ბარათის No / CARD No
16IA27496
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
23.01.2017
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2016
სფს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE016IA27496701011023976<<<<
5102057M2701231GE0<<<<<<<<<<<4
CHAKHTAURI<<DAVIT<<<<<<<<<<<<<

	Tel: +995 597 94 44 44 **Email:** Dchakhtauri@yahoo.com **მისამართი:** ქ.თბილისი მთისძირის №43

	CURRICULUM VITAE
სახელი	დავით
გვარი	ჩახტაური
დაბადების თარიღი	5.02.1951წ.
პროფესიული გამოცდილება	1976-1980წწ. ქ. თბილისი, მეტალურგიის ინსტიტუტი (პრეპარატორი); 1980-1996წწ. ქ.თბილისი, თბილგაზი (საპროექტოს უფროსი ინჟინერი); მიწისქვეშა გაზსადენების ელ. ქიმიური დაცვა (საველე საინჟინრო პარტიის უფროსი); 1996-2000წწ. თბილგაზი საპროექტოს მთავარი ინჟინერი; 2000-2010წწ. ქ.თბილისი, ყაზტრანსგაზი (საპროექტოს მთავარი ინჟინერი); 1996წ-დან დღემდე ექსპერტთა კავშირის წევრი; 2011წ-დან დღემდე დამოუკიდებელი ექსპერტი, რეგისტრირებული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში როგორც განსაკუთრებულ საქმეთა ექსპერტი;
განათლება, ტრენინგები და სემინარები	1958-1968წწ. ქ. თბილისის 103-ე საშ. სკოლა; 1972-1975წწ. ქ. თბილისის ნავთობისა და გაზის ტექნიკუმი; 1976-1982წწ. ქ. თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი (საამშენებლო მექანიკური ფაკულტეტი, თბოაირმომარაგება-ვენტილაციის განხრით) ;
ენები	ქართული - მშობლიური, რუსული - კარგად, გერმანული - საშუალოდ, უკრაინული - საშუალოდ;
სხვა ინტერესები	სხვადასხვა პროექტებში ჩართულობა, პასუხისმგებლობის აღება
კომპიუტერული პროგრამები	MS Office

პერსონალური ღირსებები	გუნდის კარგი წევრი, კრეატიული, კომუნიკაბელური, პუნქტუალური, პასუხისმგებლობის მაღლი გრძნობა.

შესრულებული სამუშაოები:

პროექტირება გაზსადენები

- მიწისქვეშა და მიწისზედა გაზსადენები d=50÷d=500-ის ჩათვლით. წნევები საშუალო, მაღალი, მაგისტრალური ფოლადის მილები, დაბალი, საშუალო და მაღალი p≤0,6მპა (6კგ/სმ^2) პოლიეთილენის მილები d=50÷d=200;
- გაზსადენით რკინიგზის, ტრამვაის და ავტომაგისტრალების გადაკვეთა;
- თბოცენტრალების გაზმომარაგება;
- კვარტალური და ინდივიდუალური საქვაბეები, კერძო საცხოვრებელი, მრავალსართულიანი სახლების, კომუნალური ობიექტების, სასტუმროების, დასასვენებელი სახლების და კვების ობიექტების გაზმომარაგება, თბომომარაგება;
- საავადმყოფოების, სასწავლო დაწესებულებების და ბაგა ბაღების გაზმომარაგება, გათბობა და ვენტილაცია;
- სპეციალური ობიექტების გაზმომარაგება როგორიცაა, მინის ფოლადის, ბაზალტისა და ფერადი ლითონების ტიგელები და სამჭედლოები, სადნობი ღუმელები. საავადმოფოების კრემატორიუმები, ნაგავგადამამუშავებელი საწარმო და ნავთობის სახდელი ღუმელები;
- აირსავსები საკომპრესორო სადგურები, ბუნებრივი და თხევადი გაზის მოძრავი ავტო გასამართი სადგურების განთავსება;
- დასახლებული პუნქტების გაზმომარაგება და წყალმომარაგება.
- აგურის და კერამიკული ნაწარმის გამოსაწვავი ღუმელები;
- სოფლებისა და დასახლებული პუნქტების გაზმომარაგება;
- მაღალი წნევის ორთქლის ქვაბები;
- სამხედრო, საიდუმლო, სასჯელ აღსრულების, სამხედრო ქალაქები და ქიმიური ობიექტები;

ნავთობსადენი

- ბაქო-ჯეიჰანის მცირე ნავთობსადენის პროექტირება (ჯანდარა ხაშურის მონაკვეთი)

ნავთობბაზები
ტექნოლოგიური ნაწილი

- ქობულეთის ნავთობბაზა;
- ძეგვის ნავთობბაზა;
- ბათუმის ნავთობბაზა პირსით;

მილსადენების ელ. ქიმიური კოროზიისგან დაცვა

- ქალაქების, სოფლების მაგისტრალური გაზსადენების მიწისქვეშა გაზსადენების ელ. ქიმიური კოროზიისაგან დაცვა;
- მიწისქვეშა რეზერვუარების პროტექტორული დაცვა;
- ენგურის ქაღალდის კომბინატის d=700 და d=500 L=22კმ გამწმედი ნაგებობების ელ. ქიმიური დაცვა.

თხევადი გაზი

- თხევადი გაზით საცხოვრებელი სახლების გაზმომარაგება (ენგურჰესის დასახლება);
- თხევადი გაზის შესანახი ბაზები, პუნქტები, ავტო გასამართი სადგურები;
- თხევადი გაზით ხაშურისა და ქსნის მინის ტარის ქარხნების გაზმომარაგება თხევადი გაზის შესანახი ბაზითა და რკინიგზის ესტაკადის;
- ქიმიური ობიექტები;
- თხევადი გაზის ტანკერის დამცავი სარქველების პროექტირება.

მშენებლობა

- დ=50÷დ=300 მმ-იანი ფოლადის გაზსადენები;
- საავადმყოფოების, სათბობი საქვაბეების, მრავალსართულიანი სახლების გაზმომარაგება;
- მშენებლობის ზედამხედველობა;
- საზღვაო ტერმინალი, ნავთობბაზები, თხევადი გაზის სადგურები, თხევადი გაზის პუნქტები, აირსავსები საკომპრესორო სადგურები.

ექსპერტიზა

- წყალგამაცხელებელი ქვაბები;
- მაღალი წნევის ორთქლის ქვაბები;
- ნავთობბაზები;
- ავტოგასამართი სადგურები;
- აირსავსები საკომპრესორო სადგურები;
- მეტალურგიული ობიექტები;
- ჰიდროელექტროსადგური;
- მაგისტრალური გაზსადენები;

- დიუკერები და ლუპინგები;
- მაგისტრალური გაზსადენების საჰაერო გადასვლები;
- მიწისქვეშა გაზსადენების ელ. ქიმიური დაცვა;
- ნავთობსადენები;
- ავტომატური გაზის მარეგულირებელი სადგურები;
- შავი ზღვის ტერმინალი ყულევში.

მონაწილეობა მაქვს მიღებული საქართველოს სამშენებლო ნორმებისა და წესების შედგენაში.

კვალიფიკაციის ამაღლება: მოსკოვის, კიევისა და სარატოვის გაზის განაწილებისა და გამოყენების სათაო სასწავლო კვლევითი საპროექტო ინსტიტუტებში.